საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-13/7356
27/07/2021

7356-15-13-2-202107271922

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

2021 წლის 16 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზს დაუკავშირა მოქალაქე [redacted], რომელიც მის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.

ფაქტობრივი გარემოებები

- [redacted] განმარტება

სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრების დროს [redacted] განმარტა, რომ 2021 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით 13:00-15:00 საათების შუალედში, იმყოფებოდა ქ. [redacted] ქუჩაზე, რა დროსაც მასთან შავი ჯიპით მივიდნენ [redacted] პოლიციის თანამშრომლები და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ძალის გამოყენებით ცდილობდნენ მის მანქანაში ჩასმას. მოქალაქე ითხოვდა მისი დაკავების მიზეზის განმარტებას, რის შემდეგაც თანახმა იყო ნებაყოფლობით გაჰყოლოდა პოლიციის თანამშრომლებს, თუმცა მის თხოვნაზე არ რეაგირებდნენ. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, პოლიციის თანამშრომლებმა დახმარებისთვის გამოიძახეს სხვა თანამშრომლები, რომლებიც რამდენიმე წუთში ადგილზე მივიდნენ და კვლავ ძალის გამოყენებით, [redacted] მანქანაში ჩასვეს.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

[redacted] განცხადებით, დაკავების პროცესში, ისევე როგორც შემდგომ მანქანაში ყოფნისას, მას ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მოქალაქის გადმოცემით, ერთ-ერთი პოლიციელის იდაყვის მარჯვენა თვალში მოხვედრის გამო, მას მხედველობა დაუქვეითდა. დაკავებული მანქანაში რამდენიმე საათის განმავლობაში იმყოფებოდა, რის შემდეგაც [redacted] პოლიციასთან მიიყვანეს, თუმცა შენობაში არ შეუყვანიათ. დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში პოლიციის შენობასთან ახლოს, მოგრძო სკამზე იჯდა და მას პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი აკონტროლებდა. მისთვის კვლავ უცნობი იყო იქ ყოფნის მიზეზი და საფუძველი. დაახლოებით 21:00 საათზე მასთან მივიდა გამომძიებელი, რომელმაც რაღაც დოკუმენტზე ხელის მოწერა მოსთხოვა. გამომძიებელმა განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტს ხელს მოაწერდა, შეძლებდა სახლში დაბრუნებას. [redacted] მტკიცებით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული იყო დათანხმებოდა შეთავაზებას და ხელი მოაწერა ცარიელ ფურცელს. აღნიშნულის შემდეგ, დაკავებული გაათავისუფლეს.

[redacted] დამატებით განმარტა, რომ მის მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და თვითნებური დაკავების ფაქტის თაობაზე შეატყობინა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება.

- წინასაგამოძიებო საქმის მასალები

მოქალაქის შეტყობინებაზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.[1] აღნიშნულის გარდა, სახალხო დამცველის რწმუნებული იმყოფებოდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში, სადაც გაეცნო [redacted] № [redacted] წინასაგამოძიებო საქმეს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[2] ასევე, წინასაგამოძიებო საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 2021 წლის 16 თებერვალს, 10:08 საათზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზე, შსს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის - 126-ის მეშვეობით შევიდა შეტყობინება მოქალაქე [redacted] მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ.

შეტყობინების საფუძველზე, 2021 წლის 16 თებერვალს, შედგა გასაუბრება [redacted], რომელმაც ვრცლად ისაუბრა 2021 წლის 15 თებერვალს განვითარებულ მოვლენებზე. [redacted] გამოკითხვის დროს არ დაადასტურა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, თუმცა განმარტა, რომ 2021 წლის 15 თებერვალს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, დააკავეს [redacted] თანამშრომლებმა, რომლებმაც დაკავებისას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდგომ ძალიან უხეში ფორმით ჩასვეს მუქი ფერის ავტომობილში. აღნიშნულის შემდეგ მანქანაში ჩასხდნენ [redacted] პოლიციის უფროსი

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 1 მარტის №15-13/2079 წერილი.
[2] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 10 მარტის SIS 2 21 00004493 პასუხი.

და მისი მოადგილე და დაუსვეს კითხვები ველოსიპედის დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა, [redacted] ბაზარში ყოფნის დროს აერია ველოსიპედები და საკუთარი ველოსიპედის ნაცვლად, სხვისი ველოსიპედით წავიდა სახლში. [redacted] პოლიციის თანამშრომლებს აუხსნა, რომ ველოსიპედი მისი საცხოვრებელი სახლის ეზოშია და შეუძლიათ გადაამოწმონ ინფორმაცია, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლებმა წაიყვანეს სახლში და წაიღეს ხსენებული ველოსიპედი. თუმცა, ამასთანავე მას უთხრეს, რომ კიდევ ერთ მოქალაქეს დაეკარგა ველოსიპედი და ჰკითხეს ხომ არ იყო კავშირში ამ ფაქტთან. უარყოფითი პასუხის შემდეგ, მას შესთავაზეს ქურდობის აღიარება (ძალადობის გამოყენების გარეშე), რაზეც უარი განაცხადა, რის შემდეგაც პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე გადავიდნენ მანქანიდან. ხოლო პოლიციის სხვა თანამშრომლები დაახლოებით 8 საათის განმავლობაში ატარებდნენ მანქანით ქალაქ [redacted] ტერიტორიაზე. მიუხედავად მისი არაერთი მოთხოვნისა, არ ეუბნებოდნენ დაკავების მიზეზს და არ გადაჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში, რასთან დაკავშირებითაც დააფიქსირა პრეტენზია პოლიციის თანამშრომლების მიმართ.

წინასაგამოძიებო საქმის მასალების თანახმად, ზემოხსენებულ გარემოებების გარდა, [redacted] დამატებით აღნიშნა, რომ მანქანაში ყოფნის დროს გახდა ცუდად და პოლიციის თანამშრომლებმა დაურეკეს მის მკურნალ ექიმს. სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი განაცხადა, რადგანაც დაზიანებები არ აღენიშნებოდა. გამომძიებლისთვის მიწოდებული ინფორმაციით, მისი დაკავების დეტალები ცნობილი იყო [redacted], რომელთანაც იმყოფებოდა დაკავებამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის მიერ დამატებით გამოიკითხა მოქალაქე [redacted], რომლიც არის [redacted] შვილიშვილი.[3] [redacted] განმარტებით, არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრებს უშუალოდ არ დაუნახავთ [redacted] დაკავების ფაქტი. მას შემდეგ, რაც მას შემოესმა ხმაური და გავიდა ქუჩაში, [redacted] უკვე პოლიციის მანქანაში იმყოფებოდა. სხვა დეტალები [redacted] უცნობი იყო.

[redacted] მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შინაარსის გათვალისწინებით, 2021 წლის 17 თებერვალს, №SIS32100002766 კორესპონდენციით, საქმე, კომპეტენციის ფარგლებში რეაგირების მიზნით, შესაბამის სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტებზე მითითებით, გადაიგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

- გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება

მითითებულ საკითხთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[4] გენერალურ ინსპექციას.

მიღებული პასუხით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება მოქალაქე [redacted] მიმართ სიტყვიერი

---

[3] გამომძიებლის განმარტებით, [redacted] გამოკითხვა ვერ მოხერხდა, რადგანაც 2021 წლის 16 თებერვალს სახლში არ იმყოფებოდა.
[4] 2021 წლის 18 მაისის №15-13/4754 წერილი.

შეურაცხყოფის ფაქტზე და შემოწმების შედეგად სამინისტროს მოსამსახურეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.[5]

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით გამოითხოვა მითითებულ საქმეზე გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.

მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 16 თებერვალს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე შევიდა მოქალაქე [redacted] შეტყობინება, რომელიც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.

2021 წლის 17 თებერვალს, აღნიშნული შეტყობინება, კომპეტენციის ფარგლებში გენერალური ინსპექციის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გადაიგზავნა, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, 2021 წლის 17 თებერვალს კომპეტენციის ფარგლებში რეაგირების მიზნით, მიაწოდა გენერალურ ინსპექციას ინფორმაცია [redacted] მიერ გასაუბრებისას დაფიქსირებული გარემოებების შესახებ.

შედეგად, გენერალური ინსპექციის მიერ, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, 2021 წლის 19 თებერვალს გამოიკითხა [redacted] რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები [redacted], [redacted] და [redacted], ასევე, [redacted] რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი [redacted]. პოლიციის ოთხივე თანამშრომელი ახსნა-განმარტებებში კატეგორიულად უარყოფენ [redacted] მიმართ ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების, მისი პოლიციის მანქანაში იძულებით ჩასმისა და პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში გადაყვანის ფაქტებს. ასევე, აღნიშნავენ, რომ [redacted] რაიონული სამმართველოს უფროსს ან სამმართველოს რომელიმე სხვა ხელმძღვანელ პირს [redacted] შეხება არ ჰქონია. პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, მათ ჩაატარეს მხოლოდ საგამოძიებო მოქმედება - ამოღება, რის თაობაზეც შედგა შესაბამისი ოქმი, ხოლო, ვინაიდან [redacted] არაადეკვატურად იქცეოდა, ზედამხედველ პროკურორთან შეთანხმებით, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოქალაქე [redacted] პოლიციის სამმართველოში არ გადაეყვანათ.

გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებულ მასალებში წარმოდგენილია ასევე [redacted] რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის [redacted] ცნობა სისხლის სამართლის №[redacted] საქმეზე, [redacted] მიერ [redacted] ველოსიპედის ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მითითებული ცნობის თანახმად, №[redacted] საქმეზე გამოძიების ფარგლებში 2021 წლის 15 თებერვალს განხორციელდა ველოსიპედის ამოღება, რომელიც [redacted], [redacted] ქუჩაზე მყოფ [redacted] თან ჰქონდა. მოქალაქეს განემარტა, რომ საკითხის გარკვევის მიზნით უნდა წასულიყო [redacted] რაიონულ სამმართველოში,

---

[5] შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 21 მაისის №MIA 6 21 01278226 პასუხი.

რის გაგონებაზეც გახდა არაადეკვატური. შესაბამისად, მისი სამმართველოში გადაყვანა და გამოკითხვა ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, [redacted] **რაიონული სამმართველოს თანამშრომლების გამოკითხვის გარდა, არ არის ჩატარებული არც ერთი სხვა მოქმედება.**

სამართლებრივი დასაბუთება და წინამდებარე საქმის ანალიზი

მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს ყველა პოლიციელს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპები.[6]

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[7] საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.[8]

პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.[9]

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანას წარმოადგენს.[10]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[11]

---

[6] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ", მუხ. მე-8, პ. 1.
[7] იქვე, მუხ. მე-9, პ. 1.
[8] იქვე, მუხ. მე-9, პ. 2.
[9] იქვე, მუხ. მე-8, პ. 2.
[10] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 2, ქვეპ. „ბ".
[11] იქვე, მუხ. 9, პუნქ. 2.

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება.[12]

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება სამწუხაროდ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მოცემული საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთი მხრივ თავად [redacted] გამოკითხვის გარეშე დატოვებამ, გამოიწვია ის, რომ გენერალური ინსპექციისთვის გარკვეული გარემოებები საერთოდ უცნობი დარჩა, რაზეც აუცილებელი იქნებოდა რეაგირების მოხდენა. მეორე მხრივ კი, არც იმ სავარაუდო უფლების დარღვევის გარემოებები გამოუკვლევიათ სრულყოფილად, რაც გენერალური ინსპექციისთვის ცნობილი იყო.

გენერალურ ინსპექციას უნდა შეემოწმებინა მართლაც მიაყენეს თუ არა [redacted] სიტყვიერი შეურაცხყოფა პოლიციელებმა, დაახლოებით 8 საათის განმავლობაში ატარებდნენ თუ არა ავტომობილით ქალაქ [redacted] ტერიტორიაზე და რა მიზეზით, რა მიზეზით არ განემარტა მას უფლებები, დაკავების საფუძველი და სხვა, ამყოფეს თუ არა იგი პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხანგრძლივი ვადით, მოაწერინეს თუ არა ხელი ცარიელ ფურცელზე და სხვა.

ამრიგად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ცალსახად არასრულყოფილია. არ არის მოპოვებული არც ერთი ნეიტრალური და საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება, უფრო მეტიც, არ იკვეთება ასეთი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. კერძოდ:

- არ არის გამოკითხული უშუალოდ სავარაუდო უფლებადარღვეული პირი;
- არ არის გამოთხოვილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან [redacted] [redacted] გამოკითხვის ოქმი ან/და სხვა რელევანტური დოკუმენტები ან დეტალური ინფორმაცია;
- არ გამოკითხულან [redacted] პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე;

[12] იქვე, მუხ. 3, პუნქტ. ბ^2.

- არ გამოკითხულან ის პირები,[13] რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ [redacted] დაკავების ფაქტის შესახებ;
- არ არის მოპოვებული და შესწავლილი [redacted] რაიონული სამმართველოს გარე მეთვალყურეობის კამარების ვიდეოჩანაწერები, რასაც ასევე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საქმის საბოლოო შედეგზე;
- საქმის მასალების მიხედვით, არ არის მომზადებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების ამსახველი შესაბამისი დასკვნა[14];
- მოქალაქე [redacted] არ არის ინფორმირებული ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით აშკარაა, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმება არასრულყოფილია. ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და შესაბამისი მოწმეების გამოკითხვის შემთხვევაში შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება განსხვავებული შედეგით დასრულებულიყო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა შემთხვევაში, მოქალაქეთა საჩივრების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხილვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქალაქის უფლებების დასაცავად, არამედ, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენ არასათანადო მოპყრობისა და სხვა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციისთვის, ამავდროულად, ხელს უწყობს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მუშაობის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებდა სახალხო დამცველი ჯერ კიდევ წლების წინ თავის სპეციალურ ანგარიშში, მათ შორის, საქმეებში ნეიტრალური მტკიცებულებების პრაქტიკულად არარსებობის და შესაძლო დამატებითი მტკიცებულებების მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მოპოვებაზე.[15] სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით გამოწვევები ისევ რჩება, რისი ნათელი სურათია სწორედ ეს საქმეც.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორ [redacted] წინააღმდეგ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მის მიერ

---

[13] მოქალაქე [redacted], მოქალაქე [redacted], [redacted] მკურნალი ექიმი, რომლებიც იდენტიფიცირებულები იყვნენ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინასაგამოძიებო საქმეში.

[14] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხ. 9, ქვეპ. „5“.

[15] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf> [ბოლოს ნანახია: 26.07.2021].

შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი